# საქართველო

№22 · ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი · 15 ნოემბერი 1942 წ.

## მომავალი ჩვენ გვეკუთვნის

საბჭოთა მთავრობა ცდილობს სიყალბით, თვალთმაქცობითა და დაპირებებით განამტკიცოს ლაფდასხმული მორალი, წითელი არმიის, სამოქალაქო მოსახლეობის დაცემული სული.

გერმანიის არმიის წინსვლა კავკასიაში, თერგის, ყუბანისა და დონის ოლქების მოსახლეობის აღფრთოვანებული შეხვედრანი გერმანელ ჯარისკაცებთან, სტალინი აიძულეს დაჰპირდეს კავკასიის ხალხს ნაციონალური და რელიგიოზური შემსუბუქებანი. ბოლშევიკი აგიტატორები და პროპაგანდისტები იღწვიან კავკასიის ხალხში შექმნან შთაბეჭდილება, რომ თითქოს ბოლშევიკებმა დაიწყეს ახალი პოლიტიკის გატარება, რომელიც შეესაბამება კავკასიის ხალხის ნაციონალურ მოთხოვნილებებს.

ჩვენ კარგად ვიცით რა მისცეს ამ დაპირებებმა თანამემამულეებს ჩვენს სამშობლოში. ბოლშევიკები პირველად არ მიმართავენ ამ ხერხს. ყოველთვის როცა ისინი ვარდებოდნენ განსაცდელში, მოიმარჯვებდნენ ამ მეთოდს.

თუ ჩვენი ხალხი წინად ენდობოდა დაპირებებს,მათ უხდებოდათ აურაცხელი მსხვერპლის გაღება. არც ერთი ამ დაპირებათაგანი არ განხორციელებულა, პირიქით, მათ მოჰქონდათ ახალი დამონება, გაჩანაგება, გადასახლებანი. მწარე გამოცდილებამ ჩვენ გვასწავლა არ მივენდოთ ბოლშევიკების სიყალბეს. ვიცით რა იმალება მათ ტკბილ სიტყვებს უკან.

დაპირებებთან ერთად ბოლშევიკებმა კავკასიაში გააძლიერეს ტერორი, მოსახლეობა მასობრივად იგზავნება ციმბირში, ყოველდღიურად ასეულობით ჰხვრეტენ „საეჭვო" ადამიანებს. ჩვენ თანამემამულეებს ახლად მოსულთ სამშობლოდან, შეუძლიათ გვიამბონ ამ საშინელებებზე საკუთარი გამოცდილებიდან. მაგრამ ეს ჩვენ როდი გვაკვირვებს, ასე იყო და არის ყოველთვის ბოლშევიკებთან.

ბოლშევიკების ბატონობის წლებში ჩვენ კარგად შევისწავლეთ აზრი ლოზუნგისა: „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური". არა მარტო ჩვენ,არამედ ჩვენმა ძმებმა და დებმა,მამებმა და დედებმა იციან როგორ უნდა გაიგონ მჩაგვრელი ბოლშევიკების ტკბილი სიტყვები.მათ იციან ჩვენი და ჩვენი ლეგიონის არსებობა. ისინი უცდიან ჩვენს მისვლას,განთავისუფლებას მონობის უღლისაგან.ჩვენი ამხანაგები,რომლებიც ფრონტზე იმყოფებიან,საკუთარი თვალით ყოველდღიურად ხედავენ როგორ ხვდება მათ კავკასიის ხალხი, მოხუცები და ქალები თვალში სიხარულის ცრემლით დგანან გზებზე, რომლებზედაც მიდიან ჩვენი ბატალიონები,გერმანელ ჯარის კაცებთან ერთად: ისინი სიხარულით ართმევენ ხელს ლეგიონერებს, მოაქვთ მათთვის პური, რძე და სხვა საჩუქრები.

ჩვენი ამხანაგები ფრონტზე ხედავენ სხვასაც. ხედავენ როგორ თვალთმაქცობას მიმართავენ ბოლშევიკები. ისინი ცდილობენ შეაჩერონ მოახლოებული დალუპვა, ეძებენ სულიერად სუსტსა და მშიშარა ადამიანებს, როგორმე შეარყიონ ჩვენი ძლიერი, მიუვალი ფრონტი. მაგრამ ჟველა მათი ცდა ამაოა.

თუ ჩვენს შორის სადმე მაინც აღმოჩნდა მშიშარა ან გამყიდველი, მას თავისი მიეზღვება. **მომავალი ჩვენია და მას შევქმნით ლეგიონერნი.** ჩვენი ამხანაგები, რომლებიც ფრონტზე არიან, მოგვითხრობენ, თუ ღამით ჩვენი თანამემამულეები როგორ გადმოდიან გერმანელთა მხარეზე და მოითხოვენ იბრძოლონ ლეგიონებში. ბოლშევიკების უკან დახევისას ისინი რჩებიან ტყეებში და ხეობებში ელიან ჩვენს მისვლას. როცა გერმანელთა მოწინავე ტანკები შედიან სოფელში, როცა ისმენენ გერმანულ სიტყვას, როცა ხვდებიან ლეგიონერებს,მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს.

„მომავალი გვეკუთვნის ჩვენ"—ამბობენ დონზე, ყუბანზე, თერგზე, ამბობენ ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ჩეჩნები, რომლებმაც მიაღწიეს განთავისუფლებას.

„მომავალი გვეკუთვნის ჩვენ"—ამბობენ ისინი და ამთელებენ იმ ჭრილობებს, რომელიც მათ ომმა მიაყენა თავისუფალი ხალხი აშენებს ახალს, ნაციონალურ ცხოვრებას.

ვ. ღ.



სვანეთის სოფელი ღლუხორის გადასასვლელთან

## „ჩვენი ერთადერთი ლოზუნგია ბრძოლა"

### (ადოლფ ჰიტლერის სიტყვა მიუნხენში)

8 ნოემბერს, განმტკიცებული ტრადიციის მიხედვით ნაციონალ - სოციალისტური მოძრაობისათვის ბრძოლაში პირველ მსხვერპლთა მოსახსენებლად, მიუნხენში, ლოუვენბროის შენობაში, თავის ძველ თანამებრძოლებთან და ფრონტებიდან დაბრუნებულ მებრძოლებთან, ადოლფ ჰიტლერმა წარმოსთქვა ვრცელი, გერმანიის დიადი საქმის გამარჯვების ბრწყინვალე რწმენით აღსავსე სიტყვა.

### მოწინააღმდეგენი იგივენი არიან

სიტყვის დასაწყისში ადოლფ ჰიტლერმა შეადარა 1933 წლის შინაგანი ბრძოლა ახლანდელს ომს.„**ჩვენი მტრები,** სთქვა მან, **იგივენი დარჩნენ და მათ ზურგს უკან იმალება იგივე ხელმძღვანელი ძალა — საერთაშორისო ებრაელობა.** ეს ძალები ახლა შემთხვევით არ გაერთიანებულან ჩვენი სამშობლოს გარეთ. ჩვენ გვყავს იგივე მოწინააღმდეგენი და მტრები.შემთხვევითი არ არის, რომ სახელმწიფომ, რომელიც მაშინ მსოფლიო ომში ცრუ პროპაგანდით მოისწრაფოდა დაეღუპა გერმანია, წამოაყენა თავისი კაცი, რომელიც ხმარობს იგივე ხერხებს. მაშინ ამ კაცს უწოდებდნენ ვილსონს, ამჟამად—რუზველტს".

### ახალი გერმანია

გაუერთიანებელი, ნაციონალ - სოციალისტურ აღზრდას მოკლებული გერმანია, ვერ გაითვალისწინა რა ებრაელური საფრთხე, 1918 წელს გახდა ამ ძალათა მსხვერპლი. მაგრამ ძლიერ სცდებიან ჩვენი მოწინააღმდეგენი თუ მათ წარმოუდგენიათ, ეს კვლავ განმეორდება. მაშინ ჩვენ შეიძლება ვიყავით მსოფლიოში ყველაზედ ნაკლებად ორგანიზებული ერი. ამჟამად ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ ყველაზე დისციპლინირებული ერი ვართ. **თუ ვინმეს წარმოუდგენია, ჩვენი ხალხი შეშინდეს, მან არ იცის ამ ხალხის ახლანდელი არსი.**

### 12 საათი და 5 წუთი

„რამდენიმე დღის წინად,—განაგრძობს ადოლფ ჰიტლერი,—სიზმრებით შეპყრობილმა ინგლისის მინისტრმა იდენმა სთქვა: „ჩვენ, ინგლისელებს გვაქვს მმართველობის დიდი გამოცდილებაო". არა, ბატონებო, მართვა თქვენ არ იცით. თქვენ შეგიძლიათ დაიმორჩილოთ ერები და შემდეგ თქვენი ექსპლოატაციით მიიყვანოთ ისინი გაღატაკებამდის. ჩვენ მოწინააღმდეგეებს წარმოუდგენიათ, რომ მათს წინაშე იგივე გერმანიაა, როგორიც პირველი მსოფლიო ომის დროს.მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. **მაშინ მის სათავეში იდგა კაიზერი, ამჟამად —მე. კაიზერი იყო ადამიანი, მოკლებული ძალას წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის,ჩემის სახით მტრებს ჰყავთ მოწინააღმდეგე, რომელმაც არ იცის სიტყვა „კ ა პ ი ტ უ ლ ი ა ც ი ა".** აკლდა, მე მაქვს ჩვეულებად შევსწყვიტო ბრძოლა პირველის 5 წუთზე. მტრების იმედები—ჩაგვახშონ ჩვენ რაოდენობით, სასაცილოა. ამჟამად ძალა ჩვენს მხარეზეა. თუ დავიანგარიშებთ ჩვენ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მომხრეთა რაოდენობას, ეჭვს გარეშეა უპირატესობა ჩვენს მხარეზე იქნება. არავითარი შედარება 1918 წელთან არ შეიძლება.

### ზავის წინადადება კვლავ აღარ იქნება

ხრის კიდევ სხვა განსხვავებაც: ჩვენ ვიცით, რა ბედი მოგველის, თუ მტერი ჩვენზედ გაიმარჯვებს და რადგან ეს ხვედრი ჩვენთვის ცხადია, არ შეგვიძლია ვიფიქროთ რაიმე კომპრომისზე. ჩვენი მოწინააღმდეგენი დროგამოშვებით ლაპარაკობენ ,რომ მათ კვლავ მიიღეს წინადადება ზავზე. მაგრამ ეს სიცრუეა. ისინი სცრუობენ იმისათვის, რათა გამოაფხიზლონ თანამემამულენი. **მთელ მსოფლიოსათვის ცნობილია, თუ როგორ ცდილობდა გერმანია აეცილებია ომი, მაგრამ ამჟამად არავითარი წინადადება ზავზე აღარ იქნება. უკანასკნელი წინადადება წამოყენებული იქნა 1940 წელს. დღეს ჩვენს ერთადერთ ლოზუნგს წარმოადგენს ბრძოლა.**

### ვოლგა გადაჭრილია

ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროპაგანდას სურს დაამტკიცოს, რომ ჩვენი ზაფხულის ლაშქრობის მიზანს არ შეადგენდა რუსეთის სამხრეთ ნაწილების აღება, არამედ იერიში ცენტრზე, და რადგან ეს იერიში არ მოხერხდა, ჩვენ განვიცადეთ მარცხი. ყველაფერი ეს შეკოწიწებული მონაგონია.

მე მინდოდა მივსულიყავი ვოლგამდე, მის განსაზღვრულ ადგილამდე. ეს ადგილი შემთხვევით ატარებს სტალინის სახელს, მაგრამ ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. **ვოლგა ვებერთელა სავაჭრო გზაა. ეს გზა მე მინდოდა დამეკავებინა და ჩვენ ის მივიღეთ. არც ერთ გემს არ შეუძლია ამოვიდეს ვოლგაზე და ამაშია საქმე.**

### ჩვენ უფრო ძლიერი გავხდით

მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ ამტკიცონ,რომ ჩვენი ამ წლის ლაშქრობა არ ჩაითვლება წარმატებად. მაგრამ წარმოვიდგინოდ ინგლისელებს, დაეჭირათ რურის ოლქი, რეინი, დუნაი, ელბა და ზემო სილეზია, რაც შეესაბამებოდა დაახლოებით დონეცკის ბასეინს და კრივო-

დასასრული მეორე გვერდზე

# ინგლის-ამერიკელთა ავაზაკური თავდასხმანი

ამერიკელებმა სტალინის მუქარითა და მოთხოვნებით შევიწროებულებმა სცადეს გაეხსნათ „მეორე ფრონტი“ იქ, სადაც ნაკლებ წინააღმდეგობას ელოდნენ გერმანელთა მხრივ. 8 ნოემბერს ინგლისს-ამერიკის საზღვაო ძალებმა აწარმოეს ავაზაკური თავდასხმანი საფრანგეთის კოლონიებზა და აფრიკის ჩრდილო სანაპიროებზე.

დილას, 8 ნოემბერს, ძლიერი ბომბარდირების შემდეგ ალჟირის რაიონში იყოდესანტის გადმოსხმის ცდები, მაგრამ ისინი ალკვეთილნი იქნენ ფრანგების მიერ. დესანტის გადმოსხმას მოკავშირეები აგრეთვე შეეცადნენ ორანთან და აფრიკის სანაპიროების სხვა პუნქტებზედაც.

რა მდგომარეობაა ამჟამად ჩრდილოეთ აფრიკაში?მაროკოში მიმდინარეობს ძლიერი ბრძოლა. კაზაბლანკთან ჩატარდა საზღვაო ბრძოლა. საფრანგეთის ჯარები შეეცადნენ შეეჩერებინათ საფისთან და ფედალთან გადმოსხმულ ინგლისს-ამერიკის ჯარების იერიში. მოკავშირეებმა დესანტი გადმოსხმეს მაგადორასთანაც. ბრძოლები სწარმოებდა პორტ ლიოტესთან. არის ცნობები დესანტზე აგადირთან.

ალჟირთან მძაფრი ბრძოლის შემდეგ, მოკავშირეებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს და შევიდნენ შიგ. პაეროდრომი დელა-ხენია ალებულია. მერს-ელკებირი ჯერჯერობით ფრანგების ხელშია. გენერალ ბედუარდომის მიერ მოწყობილი აჯანყება სწრაფად იქნა მოსპობილი, თვით გენერალი დაპატიმრებულია. დაკარი იმყოფება სამხედრო მდგომარეობაში და მზადაა თავდაცვისათვის.

6 ნოემბერს გერმანია-იტალიის სამხედრო თვითმფრინავები დღითა და ღამით ესხმიან თავს ინგლის-ამერიკის გემებს და სამხედრო ერთეულებს ალჟირის ჩრდილოეთით. მძიმე ყუმბარებით დაზიანებულია მტრის 6 სამხედრო და 4 სავაჭრო გემი. ბრძოლა გრძელდება.

## საბჭოთა დანაკარგი

გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ უკანასკნელ კვირაში გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალებმა მიიტანეს იერიში მტრის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტზე,დაწყებული მურმანსკიდან ვიდრე შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ნაპირებამდე. გერმანიის მძიმე ყუმბარმზიდები დღისით და ღამით მტერს ზურგში ანადგურებდნენ რკინის გზის ხაზებს, ვოლგის ნაოსნობას, არტილერიის პოზიციებს და სამხედრო საჭურველისა და სურსათ-სანოვაგის საწყობებს. ამავე დროს გერმანიის მსუბუქი თვითმფრინავები წარმატებით ებრძოდნენ საბჭოთა საჰაერო, ძალებს რის შედეგად 10 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე მთელ ფრონტზე განადგურებულია მტრის 615 თვითმფრინავი გერმანიის 56 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. საერთო შეფარდება ასეთია: 1:11 გერმანიის სასარ-

საბჭოთა კავშირის მრეწველობას ურალში, დასავლეთ ციმბირში და კაზაკსტანში დიდი რაოდენობით აკლია ¤ ნედლი მასალა. მრეწველობა კატასტროფულ მდგომარეობაშია რკინისა და თითბერის ნაკლებობის გამო.






სტალინგრადის ქუჩებში

## მდგომარეობა ფრონტებზე

კავკასიის ფრონტზე გრძელდება მძაფრი ბრძოლა. გერმანიის ჯარები გამაგრდნენ წინად ალებულ ადგილებში. ალაგირის აღმოსავლეთით გაარღვიარა ბოლშევიკების ძლიერად გამაგრებული და დანაღმული პოზიციები, გერმანიის ჯარი განაგრძობს ბრძოლას. წითელ არმიას ა რ შესწევს ძალა მოიგერიოს ძლიერი იერიში. გერმანიის ავიაცია ყუმბარებს უშენდა კუმას და თერგს შორის თავმოყრილ ბოლშევიკების ჯარის ნაწილებს. კალმიკის ველებზე ცხენოსანი ჯარის იერიში უკუგდებული იქნა დიდი დანაკარგით.

სტლინგრადში სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობს. გერმანელები იღებენ ქუჩას ქუჩაზე. ბოლშევიკებმა დაჰკარგეს ახალ ხივრცე ქალაქში, მათი ყველა იერიში განადგურებულია. თვითმფრინავებმა ხროლა აუტეხეს საბჭოთა ბატარეებს ვოლგას გასწვრივ და ყუმბარები ჩამოყარეს ასტრახნის რკინისგზის ხაზებზე.

ბოლშევიკების ცდა—გადმოსულიყვნენ დონზე, უკუგდებული იქნა იტალიის, უნგრეთისა და რუმინეთის ჯარების მიერ. ილმენის სამხრეთ - აღმოსავლეთით სწარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლა.

კასპიისა და შავ ზღვაში, ვოლგის შესართავთან და ილმენზე ბოლშევიკებმა ოქტომბრის განმავლობაში დაჰკარგეს 33 სატრანსპორტო გემი სხვა და სხვა სიდიდისა.

ბრძოლა ჩრდილო აფრიკაში გრძელდება ყველა ფრონტზე.

## ჩაძირულია 16 გემი

გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ყარაიბის ზღვაში, ტრინიდადასთან, გვინეის უბესთან და კაპშტადტის რაიონში ჩასძირეს 16 სავაჭრო გემი (103 ათასი ტონის წყალწყვით). გემების უმრავლესობა დატვირთული იყო თვითმფრინავების ნაწილებითა და სამხედრო საჭურველით ამერიკის ჯარებისათვის,რომლებიც იმყოფებიან აფრიკის სანაპიროებზე.

## ახალი სამინისტრო

ტოკიოში შეიქმნა აღმოსავლეთ აზიის საქმეთა სამინისტრო. სამინისტროს მეთაურად დანიშნულია მინისტრი დაიტოში. ახალი სამინისტრო იქნება დიდი აზიის ყველა საკითხების ცენტრალური მმართველი და უზრუნველჰყოფს ჰარმონიულ თანამშრომლობას სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას შორის.

## „ჩვენი ერთადერთი ლოზუნგია ბრძოლა...“

(დასასრული)

იროგს. მაშინ ინგლისელები იტყოდნენ რომ ამ ოლქების დაკავება არ არის წარმატება?

თუ ისინი ამჟამად ადასტურებენ,რომ მათ წაიწიეს რამოდენიმედ უდაბნოში, მაგრამ მათ ხომ მრავალჯერ წაიწიეს წინ და დაბრუნდნენ უკან. **ამ ომში გადამწყვეტად ითვლება უკანასკნელი დარტყმა,თქვენ შეგიძილათ იყოთ დარწმუნებული, რომ ამ დარტყმას ჩვენ მოგაყენებთ. მე უდიდესი რწმენით უყურებ მომავალს.**

როცა მე გასულ წელს თქვენს წინაშე ვლაპარაკობდი, ჩვენ ვიცოდით რუსეთის ზამთარის საფრთხე. ამჟამად ჩვენ მზად ვართ მისთვის. გასული ზამთრის ამბები არ განმეორდებიან ამ წელს. მე გავიმეორებ დიდი ფილოსოფისის სიტყვებს „დარტყმამ, რომელმაც ვერ წააქცია ძლიერი ადამიანი, გააძლიერა იგი“. გასული ზამთრის გრიგალმა ვერ წაგვაქცია, მან ჩვენ უფრო გაგვაძლიერა“.

### ომი მთელი ევროპის ინტერესს შეადგენს

სადაც არ უნდა იყოს ჩვენი ფრონტი, გერმანია ყველგან მოიგერიებს დარტყმებს და მიიტანს ყველგან იერიშს, მე ერთი წამითაც არ ვეჭვობ, რომ გამარჯვება ჩვენს დროშებს ეკუთვნით. ჩვენ, როგორც ყოველთვის, გულდასმით მოვამზადებთ ჩვენს დარტყმებს და ისინი წინადებურად დროზედ იქნებიან მიტანილნი. ჩვენსკენ მომართული დარტყმანი იყვნენ უშედეგონი. **მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს არმიასთან დგას გერმანელთა სამშობლო და პირადად ჩემთან ნაციონალ-სოციალისტური პარტია—ეს ფიცით შედუღებული ერთიანობა. ახლანდელი ომი გასცილდა გერმნიის ინტერესების საზღვრებს. მას აწარმოებს გერმანია არა თავისთვის, არამედ მთელი ევროპის ინტერესებისათვის.**

აუცილებელია, რომ მშვიდობიანობა, რომელიც ოდესმე დამყარდება და იგი უნდა დამყარდეს, უნდა წარმოადგენდეს ნამდვილი მშვიდობიანობას ევროპისათვის, გაანთავისუფლებდეს მას ძველ გავლენისა და მფარველობისაგან. ამ ომის შემდეგ ევროპა უნდაგაჯანსაღდეს სამეურნეო მხრივ.

### დადგება ჩვენი დარტყმათა საათი

ამ ომის შემდეგ უნდა დამყარდეს ხანგრძლივი მშვიდობიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის ყველა ხალხის კეთილდღეობას.მტრის იმედი მოგვექანცოს ჩვენ, უსაფუძვლოა, მას არ ძალუძს შესცვალოს ჩემი გადაწყვეტილება. ყველა იმათი დარტყმანი ალირიცხულია.

დადგება დრო დამტერს ერთი ასად გადაუხდი სამაგიეროს. თავის დროზე მე სამნახევარი თვის განმავლობაში ვითმენდი ინგლისელთა თავდასხმებს, მაშინ ბევრი მეკითხებოდა რატომ არ ვუპასუხებთ დარტყმით. ჩვენ თავის დროზე უპასუხეთ მათ და **ამჟამად დადგება საათი, როცა ჩვენი მტრები დარწმუნდებიან, რომ გერმანიის გამგონებლობა არ სთვლემდა და ისინი მიიღებენ პასუხს, რომლისგანაც მათ სული გაუფრთხებათ. ყველა ჩვენ მამაკაცებს და დედაკაცებს,**—დაასრულა ადოლფ ჰიტლერმა, — **უნდა გახსოვდეთ, რომ ამ ომით წყდება ჩვენი ხალხის ბედი. და თუ ამას თქვენ გაიგებთ, მთელი თქვენი ფიქრნი და მოქმედებანი გახდებიან ლოცვად ჩვენი გერმანიის საკეთილდღეოდ“.**



კავკასიაში.
3000 მეტრის სიმაღლეზე.

## ოქტომბრის ზეიმზე

ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის დღეს სტალინმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა. მან ყოველგვარი დიპლომატიური ფანდების გარეშე, გულახდილად უსაყვედურა მოკავშირეებს უმოქმედობაზე და საბჭოთა კავშირის უმძიმეს მდგომარეობაზე. სტალინის აზრით, მხოლოდ მეორე ფრონტის გაუხსნელობამ მისცა საშუალება გერმანიას მიეღწია რაოდენობრივ უპირატესობას. ისე, როგორც პირველი იმპერიალისტური ომის დროს, ახლაც რომ ყოფილიყო ევროპაში მეორე ფრონტი, მდგომარეობა სულ სხვაგვარად იქნებოდა და საბჭოთა ჯარები იდგომებოდნენ მინსკში. სტალინმა მოაგონა მოკავშირეებს, რომ ისინი შეჰპირდნენ მოლოტოვს დახმარებას, ინგლისელები ამაოდ ცდილობენ დარწმუნებას, რომ იერიში ეგვიპტეში საკმარისი იყოს მეორე ფრონტის დროშისათვის.

სტალინი შეეცადა დაერწმუნებია მოსახლეობა, რომ გერმანელთა მიზანს არ შეადგენდა აელოთ მიმართულება კავკასიაზე, ეს მათ გააკეთეს იმისათვის, რათა შეესუსტებიათ ჩვენი ყურადღება და ძალა მოსკოვთან, შემდეგ აელოთ იგი. სტალინმა აღიარა, რომ გერმანელებს უჭირავთ ხელში ინციატივა და მიაღწიეს სერიოზულ ტაქტიკურ გამარჯვებებს საბჭოთა ფრონტზე.

ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავის ზეიმი საბჭოთა კავშირში ნაცვლად დღესასწაულისა იყო დასაფლავების ზარი. მოსახლეობა გრძნობს კატასტროფიულ საშინელებას, სტალინი ამაოდ არწმუნებს მათ, ბოლშევიზმი განწირულია.

## საბჭოთა ზურგში

ამერიკელი ჟურნალისტი ჩაპლინი ინდოეთიდან მოსკოვში დაბრუნებული თავის მგზავრის შენიშვნებში სწერს: „ირანში და ირაქში 6 თვის განმავლობაში ცხოვრების შემდეგ სსრ კავშირის მდგომარეობა მეტად მძიმედ წარმომადგება. აქ სავსებით დაკარგულია წარმოდგენა „ჩვეულებრივ ცხოვრებაზე“, საუბრის მთავარ თემას შეადგენს მეორე ფრონტი. საბჭოთა კავშირის ხალხი სიამოვნებით მიესალმებოდა ამერიკულთა დახმარებას, თუმცა დარწმუნებულია რომ საბჭოთა კავშირს ომის გაგრძელება მოუხდება მხოლოდ საკუთარი ძალებით. მე ერთი ღამე გავატარე ბაქოში, პირველ საბჭოთა ქალაქში; ბაქოს ქუჩებში მხვდებოდნენ მხოლოდ ბავშვები, მოხუცი ქალები და დაჭრილი ჯარისკაცები. ქალაქში ცხოვრება ჩამკვდარია. სავაჭროები ომის მთელ მანძილზე დაკეტილია. კუიბიშევში (სამარა) ამ დიდ ქალაქში, დაკეტილია მაღაზიები, ჩალამებულია ქუჩები და შენობები, ღამით შეწყვეტილია მოძრაობა.

მოსკოვში მე ვნახე, რომ სსრ კავშირში მთელი ცხოვრება გადაყვანილია ომის რელსებზე. განიერი ქუჩები და მოედნები სავსებით ცარიელია. მოუთმენელია ის გარემოება, რომ მაშინ, როცა მაღაზიების დიდი ნაწილი დაკეტილია, „სილამაზის ინსტიტუტები“ განაგრძობენ მუშაობას. საბჭოთა ხელმძღვანელები ფიქრობენ ალბათ, რომ ქალების მისწრაფება—იყვნენ ლამაზნი—სულის დამშვიდების ერთერთი საშუალებაა. გამოჭიმილი წარბები, გათხუპნული ტუჩები და ელექტრო-სახვევით დახვეული თმები ასეთია საბჭოთა მოხელე-ქალებისსახე“

## მოხევე ლეგიონერის სიმღერა

ეჰ, ხიჭაბუკევ, ფრთა-ლალო, სწრაფ წარმავალო, ტიალო,
მშობელი მიწის კალთაო, ქვეყნის უწყვეტო ტრიალო,
გადამატარე მთა-ბარი, მუხლი მომაბი მგლისაო,
ვეფხვებთან დამაბინავე, გმინვა მასმინე კლდისაო.
შავად ჩაგრეხილ ხევებში, ღამე მატარე წვალებით,
მასწავლე მტრისა მოძებნა, გამომიწაფე თვალები,
ვაჟკაცად დავბადებულვარ, ადათად ეს მიწერია,
სამშობლოს სიყვარულითა მხნე გული ამიძგერია.
შემყარე ონავარ მტერსა, მკერდი გავუპო მახვილით,
სისხლი ავილო და მოძმეთ გული გავუთბო ძახილით,
ვუამბო, როგორ იმსხვრევა ოცდახუთი წლის ბორკილი,
როგორ ამოდის ხალხის მზე, მზე დასავლეთში შობილი.
დავბრუნდე მშობელ ბინაზე, ვნახო ჭიუხი მთებისა,
გაცივებული კერაი, თვალნი მტირალი დედისა,
დავაიმედო ბეჩავი, ჯავრი არ ჰქონდეს მტერისა,
ვახარო მრავალტანჯულსა: თავისუფლება გვეღირსა.
სისხლით ნალები დროშაი ლაჟვარდში დაფრიალებდეს,
თავისუფალი მოძმეი მის შრიალს შესტრფიალებდეს,
გაშრეს ცრემლი და ვაება, ლხინი დაგვიდგეს მზინი,
და ზეიმობდეს ძლევასა მამული ბარაქიანი!..

ლეგ. ვ. ფშაველი.



გერმანიის ტანკები ეგვიპტის ფრონტზე

# გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში

### 4. სამშობლოს პატივის დაცვისათვის

ომის ახალმა მოვლენებმა უცაბედათ შესცვალეს გერმანელთა მიერ დამყარებული მდგომარეობა კავკასიაში. 1918 წელს საქართველოს მოედო ხმები, რომ გერმანელთა ჯარში დაიწყო რევოლუციური მოძრაობა. თბილისის გერმანულ მისიაში არ მალავდნენ ამ ხმების სისწორეს. გერმანელების კავკასიიდან წასვლა ახლო ხანში უნდა მომხდარიყო. ახალმა ამბებმა მალე დაადასტურეს ეს ხმები. ფრონტებზე ზავს მოჰყვა რევოლუცია გერმანიაში. კაიზერი გადადგა. ინგლისის გემები შემოვიდნენ შავ ზღვაში. გერმანელთა ჯარი შეუდგა ევაკუაციისათვის სამზადისს.
ზამთრის პირია. ცივა. ავადმყოფი ვწევარ ლოგინში. შემორბის ჩემი ცოლი და გადმომცემს, რომ სტუმრები მოვიდნენ. ძლივს ჩავიცვი.. გენერალი მიცდიდა. ნაღვლიანი სახით ჩამომართვა ხელი ფონ კრესმა. მის გვერდითვე იდგა ჩაფიქრებული ჰაუპტმანი დრეიერი.

—ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის... მოვედი რომ გამოგეთხოვო. დღეს, საღამოს, ჩემს დელეგაციასთან ერთად მივდივარ ქალაქ ფოთს. ინგლისელები უკვე თბილისში არიან. მათ უჭირავთ რკინიგზის სადგური. ველი უსიამოვნო ამბებს.—მითხრა გენერალმა.

—ძვირფასო გენერალო, ნურაფერზე შეწუხდებით. ჩვენ ყველაფრით მზად დაგიხვდებით—მიუგე მე მას. გენერალი თავის დელეგაციით გაემართა სოლოლაკისაკენ.

მე სწრაფად ჩავიცვი ჩოხა-ახალუხი. შეუდექი საქმის მოგვარებას. რკინიგზის სადგურზე უკვე იდგა შოტლანდიელი გუშაგი. გავიგე, რომ რკინიგზის ადმინისტრაციას, ინგლისელების შიშით, გადაუწყვეტია გერმანელთა დელეგაციის გამგზავრება „სამხედრო პლატფორმიდან“. მე თვითნებურად აღვიდგინე ჩემი ძველი რწმუნება და ვუბრძანე სადგურის უფროსს გამოეყვანა მატარებელი გერმანელთათვის; თვით კი ინგლისელებთან მოსალაპარაკებლად წავედი. გზაში შემხვდა კაპიტანი გ. აფხაზი ინგლისური ენის კარგი მცოდნე, ვთხოვე მას დახმარება. ორთავენი მივედით შოტლანდიელ გუშაგთან და გამოვაძახებინეთ ასეულის უფროსი.

ჩვენ თხოვნაზე დროებით გაენთავისუფლებია დარბაზი, ასეულის უფროსმა ასე გვიპასუხა:

საიდანაც გინდათ იქიდან გაისტუმრეთ გერმანელებით.

გამოვბრუნდი იქიდან, გადავედი იქვე სადგურის მახლობლად მდგომ ქართული ათასეულის ყაზარმაში გამოვიყვანე ერთი ასეული და გარს შემოვერტყით სადგურის სადაო დარბაზს. შოტლანდიელებმა ველარ გაგვიწიეს წინაამდეგობა. ახლა უკვე თვითონ დასცალეს დარბაზი.

5 საათზე დარბაზი გაივსო ქართული ოფიცრებით, პარლამენტის წევრებით და სხვათა წარმომადგენლებით. მოვიდა გენერალი ფონ კრესი. ქართველები უსურვებდნენ დელეგაციას კეთილს მგზავრობას. ჩვენ გარს ვერტყით დელეგაციას, ვიცავდით მას, რადგან ვიცოდით ინგლისიელებს აზრად ჰქონდათ ხელში ჩაეგდოთ დელეგაციის დოკუმენტები.

—ჩვენ მოვახერხებთ დავიცვათ ქართველთა უძველესი ადათი — სტუმართ მოყვარეობა. არავის მივცემთ ნებას ჩვენს მიწა-წყალზე ძალადობას მიმართოს. იყავით დამშვიდებული,—ვეუბნებოდი გენერალს.

ქართველები გულისტკივილით ემშვიდობებოდნენ ძვირფას სტუმრებს.. ფონ კრესმა მაგრად ჩამჭიდა ხელი და მითხრა: „...ჩვენ დავმარცხდით და ვტოვებთ საქართველოს. ახლა მოვლიან ინგლისელები და ფრანგები. მართალია ამჟამად ისინი ჩვენი მტრები არიან, მაგრამ ვინაიდან მე მეგობარი ვარ საქართველოსი, რომლის თავისუფლებისათვის ჩვენ, გერმანელებმა გავაკეთეთ ის, რის გაკეთებაც შევსძელით, ვსთხოვ ვალად გირჩიოთ დაუყონებლივ მიმართოთ მათ თხოვნით დაგეხმარონ თქვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის“.

ეს იყო გენერალის უკანასკნელი სიტყვები.

გერმანულთა დელეგაცია 30 რჩეული ვაჟკაცით გააცილა კაპიტანმა აფხაზმა. ისინი მშვიდობით ჩავიდნენ ფოთში. შემდეგ შევიტყვეთ, რომ ინგლისელებმა გერმანელებს არ მისცეს გემი. მთავრობის განკარგულებით დელეგაცია გადაყვანილი იქნა ქალაქ ქ უთაისში. გერმანელებს ქუთაისში უდიდესი სიხარულით შეეგება ხალხი და ალფრთოვანებით უმასპინძლდებოდნენ მთელი ერთი თვის განმავლობაში. ქუთაისიდან ჩამოსულმა გრაფმა შულენბურგმა აღტაცებული ხმით მითხრა:

„ქართველების რაინდული ისტორია ახლა თვალწინ მიდგას. იმედია თქვენცა და ჩვენც ბოლოს და ბოლოს ვერავინ მოგვერევა. გადაეცით თქვენს თანამემამულეებს ჩვენი უდიდესი მადლობა იმ განსაკუთრებული ყურადღებისათვის, რომელიც თქვენმა ხალხმა გამოიჩინა ამ შავ დღეებში“.

1919 წლის მარტში გერმანელთა სამხედრო მისიამ დასტოვა საქართველო და გაემგზავრა ბათომიდან.

ამ წარსული გულწრფელი მეგობრობის საფუძველზე შენდება დღესაც გერმანელი და ჩვენი ხალხის ახალი მკვიდრი მეგობრობა.

## მოკლე ცნობები

▲ ავსტრალიის მთავრობამ ყველა გემებზე და ავსტრალიის საზღვაო მიმოსვლაზე დააწესა სახელმწიფო კონტროლი.

▲ ამერიკის სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ 15 ნოემბრიდან გაიხსნება მიმოსვლა ალიასკასა და კანადას შორის.

▲ ირაქის არმიის ოფიცრებს აკრძალული აქვთ იმსჯელონ პოლიტიკურ საკითხებზე.

▲ ფინელთა მიერ ალებულ კარელიის ნაწილში მეცადინეობა განაახლა 11 გიმნაზიამ და სახალხო სკოლების უმრავლესობამ.

▲ ბრიტანეთის მე-10 არმიის ჯარისკაცებს, რომლებიც ირაქში იმყოფებიან, არ აქვთ უფლება თვითეულად გამოვიდნენ ყაზარმიდან. ქუჩებში მათ შეუძლიათ იარონ მხოლოდ ჯგუფებად 5 — 10 კაცის რაოდენობით.

▲ ჩუნკინგიდან იუწყებიან ვატიკანთან დიპლომატიური კავშირის აღდგენის შესახებ.

▲ 8 ნოემბრიდან მთელს ინგლისში, საღამოს 9 საათიდან წყდება საავტობუსო მიმოსვლა. კვირაობით ავტობუსთა მოძრაობა განახლდება მხოლოდ ნაშუადღევის 1 საათიდან.

▲ ინგლისის ხელისუფლების ძალდატანებით სირიაში წესდებასაყოველთაო სამხედრო ვალდებულება. ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა სირიისა და ლიბანონის ხელისუფალთ აღუთქვა დაჰფაროს ყველა ხარჯი, გამოწვეული სამხედრო ვალდებულების შემოღებით.

▲ ამერიკის საზღვაო მინისტრის განკარგულებით ყველა ლითონის იარაღი და ნადავლი, რომელიც ამერიკელებმა ხელთ იგდეს 5 ომის განმავლობაში უნდა გადადნობილი იქნას და გამოყენებული ახალი იარაღების გასაკეთებლად.

▲ გაზეთი „პრავდა" აღნიშნავს, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირის ხელში არსებულ მაღაროებში ქვანახშირის ამოღება ერთობ. დაეცა. ამის გამო რამდენიმე პიროვნება მიცემულია პასუხისგებაში.



ქართული ლეგიონი. სამწყობრო მეცადინეობა

# ანეგდოტები

### პასუხი

ერთხელ ლენინმა საიქიოდან მისწერა სტალინს: „ამ ოხერ საიქიოში ვერ იქნა, კომუნიზმი ვერ ავაშენე. იქნებ შენ გამოიგონო რაიმე ხერხი, რომ ხლხი გამოგყვესო".

სტალინმა სასწრაფოდ მისწერა პასუხი: „ნუ დარდობ,— მე გადაწყვეტილი მაქვს შემოვიღო ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ერთად ერთი გზაა მთელი ხალხი შენ გამოჰყვესო".

### ნაღვლიანად სთქვა

ხმაჩამორთმეული გლეხი ეზოში იჯდა. ამ დროს ვირმა გაიარა შარაზე და ყროყინი მორთო. გლეხს თავზარი დაეცა. მერე ძალა მოიკრიფა და ნაღვლიანად სთქვა: —აი შე სამგლევ, შენ ხმა უნდა გქონდეს და მე კი არა?!

### სიმართლე

გლეხი სოფლიდან ჩამოვიდა და კრემლის ეზოში ვირი შეიყვანა. მისამშელი რომ ვერსად ნახა, აქეთ-იქით დაიწყო ყურება. ამას თვალი მოჰკრა სტალინმა, რომელიც ამ დროს ფანჯარაში იცქირებოდა. სტალინმა მიჰმართა გლეხს:

—შე უშნო, შენ ერთი ვირი გყავს და ის ვერ დაგიბამს, მე კი 170 მილიონი ვირი ისე დამიბამს, კუდიც ვერ გაუქნევიაო".

### ათი კაპეიკიც დაიტოვეთ!

მოსკოვში საექსკურსიოდ დიდ ძალი ხალხ დადიოდა. სხვა სანახაობებთან ერთად ექსკურსანტები ნახულობდნენ ლენინის მავზოლეუმს. ამერიკელი თავმჯდომარე გაგზავნეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. სხვა ხალხთან ერთად შევიდა იგი მავზოლეუმში. თვითეული მნახველი მოლარეს 10 კაპიკს აძლევდა, ამერიკელმა კი სალაროს თაროზე ასაზიანი დასდო.

—ამხანაგო! ბილეთი ათი კაპიკი ღირს—გააფრთხილა იგი მოლარემ, ამერიკელმა დინჯად წარმოსთქვა: „დაიტოვეთ ეს 10 კაპიკიც, რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვივლი და სტალინის სანახავად დავბრუნდებიო".

### ფინაგენტი

ფინაგენტისგან ნუ გინდა ნურც ქება, ნურცა დიდება,
რაცა გაქვს, ისიც უმალვე იმისკენ წარედინება.
აგენტის გადაკიდებას სჯობია მეხისდაცემა,
მეხის დროს უცებ მოკვდები, აგცდება ჩეკა, წვალება.

# სპორტი გერმანიაში

სპორტი თანამედროვე გერმანიის სოციალური მოღვაწეობისა და ნაციონალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დარგია. მეგობრობის გრძნობის აღზრდა, სხეულის ჰარმონიული განვითარება. მებრძოლი აზრი, სიმამაცე—აი რას ემსახურება გერმანული სპორტი. თვითეულ ქალაქში, სოფელში, ფაბრიკა-ქარხანაში, გაშლილია მასობრივი სპორტიული მუშაობა, მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ დიდს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში.

გარდა არმიისა გერმანიაში არსებობს 4 მსხვილი სასპორტო საზოგადოება. „ფიზიკური აღზრდის ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაცია", რომელიც აერთიანებს საწარმოთა სპორტიულ ჯგუფებს, კავშირებს, „ჰიტლერის ახალგაზრდობა" — მასში ჩაბმულია მოზარდი თაობა: ვაჟები და გოგონები, „გერმანიის შრომის ფრონტი", რომელიც ემსახურება მუშათა ფიზიკურ აღზრდას ფაბრიკა-ქარხნებში და ბოლოს სამხედრო სპორტიული კავშირები.

სპორტი გერმანელი ხალხის საყვარელი საქმეა. მოსახლეობა უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალს სპორტიულ მოვლენებს. ხშირად ტარდება ე. წ. სპო-



რტის სახალხო დღე. მილიონობით გერმანელი ახალგაზრდები სცდიან თავიანთ ძალას, მონაწილეობენ შეჯიბრებებში, რომელთაც მეთაურობს „ჰიტლერის ახალგაზრდობა". ნაციონალ - სოციალისტური გაერთიანება „ძალა სიხარულში" ყურადღებასაქცევს უმთავრესად მუშათა სპორტიულ აღზრდას საწარმოებში. გერმანულმა სპორტმა განსაკუთრებით დიდს წარმატებებს მიაღწია ომის დროს. ამჟამად მიღწეული რეკორდები თითქმის აჭარბებენ ომის წინანდელთ.

1936 წელს ბერლინში ჩატარებულმა ოლიმპიურმა თამაშობებმა მთელ მსოფლიოს დაანახვეს, რომ დაუშრეტელია გერმანიის ახალგაზრდა ძალა. გერმანელი ჩემპიონების გამარჯვებებმა დაადასტურეს გერმანული სპორტიული აღზრდის ბრწყინვალე შედეგი.

ნაციონალ - სოციალისტური ხელისუფლება სპორტს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. თვითეულ ფაბრიკაში, სკოლაში, საწარმოში, სოფელში და ყველგან თქვენ ნახავთ საუკეთესო სტადიონებს, დარბაზებს, წყლის აუზებს, ველოსტრადებს. ბერლინის გულში აგებულია მთელს მსოფლიოში უდიდესი, გრანდიოზული და უმშვენიერესი ოლიმპიური სტადიონი.

სპორტი ახალი გერმანიის ღვიძლი საქმეა, იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ძლევამოსილების წყაროს.

ლევ. ა. ნ.

## გასართობი

### სიტყვათა შეჯვარება № 7



**ჰორიზონტალური**

1. ადგილი, რომელზედაც ლეწენ პურს, 4. შინაური ფრინველი, 7. აქვს ყოველ ს აათს, 8. შექსპირის ცნობილი ტრაგედიის გმირი, 10. პირველი ადამიანი დედამიწაზე, 12. ნიჭიერის საწინააღმდეგო, 13. მედიკამენტის ფორმა, 14. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში, 16. ფართობის საზომი ერთეული, 18. ინდოეთის ნავთსადგური, 19. იხმარება სოფელში ლამპის ნაცვლად, უკანასკნელი ასოს გამოკლებით, 20. ფრანგული გამანათლებელი, 21. აქვს ყველა ტაძარს, 22. წარწერა სხვაგვარად.

**ვერტიკალური**

1. წონის ერთეული, 2. ძველი მუსიკალური ინსტრუმენტი, 3. მცხოვრები ჩრდილო-კავკასიაში, 4. სახელმწიფო მცირე აზიაში, 5. გადასასვლელი მდინარეზე, 6. დაიბარა, 9. ეძახდნენ შამილს, 11. კუთხე საქართველოში, 14. სპარსული სახელი, 15. მონღოლთა...., 16. ქვევიდან ზევით, ძველი ქართული კინო სურათი, 17. გარდაიქმნა, 19. ზმნა.

### სიტყვათა შეჯვარების №5 ახსნა

**ჰორიზონტალური**

1. აკაკი, 4. ელვა, 7. ჭაბუკი, 9. შვას, 11. იარეთ, 15. ახი, 16. ქაირის, 18. ტუამხე, 24. ურემი, 26. იაია, 27. (ქ)რიალით, 28. ორბი, 29. რეინი.

**ვერტიკალური**

1. არშა, 2. აჭარა, 4. ეკა, 5. ლირა, 6. ანთია, 8. ულიამ, 10. ვიქტორ, 12. ესხილი, 14. პრუსია, 17. ჰიუგო, 19. საათი, 21. გერბ(ი), 23. კაცი, 26. იიე.

## სტუდენტთა ამბოხება

ჰავანიდან იუწყებიან იმ უწესრიგობათა შესახებ, რომლებიც გამეფებულნი არიან იქაურს უნივერსიტეტში. ჰავანელ სტუდენტთა უმრავლესობა უკმაყოფილოა უნივერსიტეტში ახალ პროგრამებით მეცადინეობის გამო. 2.000 სტუდენტზე მეტი შეიჭრა უნივერსიტეტის 12 შენობაში, რათა აიძულებიათ უნივერსიტეტის მმართველობა დაუყოვნებლივ გადაესინჯა მეცადინეობის გეგმა.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლევ. გაი მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung. Berlin W 35, Am Karlsbad 28

ქართული სტამბა, ბერლინი
დაბეჭდილია Deutscher Verlag, Berlin.